ევროკავშირში საქართველოს ექსპორტის გაფართოების პოტენციალის შესახებ

DOI:10.36962/ECS105/5-7/2023-114

ზაირა ღუდუშაური
სტუ პროფესორი,
zaira.gudushauri@mail.ru

ნინო გელიაშვილი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში დასმული საკითხი განხილულია როგორც ევროკავშირის ქვეყნების, ისე უმრავლეს საექსპორტო-საიმპორტო სასაქონლო ჯგუფების ჭრილში. გაანალიზებული და შეფასებულია ევროკავშირში ექსპორტის წილი საქართველოს მთელ ექსპორტში, და იგი როგორც ექსპორტის მოცულობით, ისე ხვედრითი წონით და ისე ზრდის ტემპით შედარებულია დამოუკიდებელ თანამეგობრობის ქვეყნებთან (დსთ) საქართველოს ექსპორტთან.

ევრიკავშირთან საქართველოს მიერ წარმოდგენილი სავაჭრო ბალანსის საფუძველზე გამოანგარიშებულია ბალანსის ნორმალიზაციის ინდექსები, რომლებიც შეფასებულია უარყოფითად. სტატიაში ასევე გამოთვლილია ევროკავშირთან ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსები (Lij), რომელიც ყველა საანალიზოდ აღებულ წილის ერთ ერთეულზე მეტი აღმოჩნდა. სტატიაში ეს ვითარება დადებითად არის შეფასებული, და ისიც არის აღნიშნული, რომ ევროკავშირთან საქართველოს საექსპორტო ინტენსივობა, ანუ მისი ინტრარეგიონული საექსპორტო ინდექსი ორჯერ აღემატება ანალოგიურ მსოფლიო მაჩვე-

ნებელს ევროკავშირთან მიმართებაში.

საქართველოდან ევროკავშირში საექსპორტო ვაჭრობის ბრუნვა სტატიაში არასაკმარისად არის ჩათვლილი და წარმოდგენილია რეკომენდაციები მის გასაფართოებლად: საექსპორტო საქონლის ნომენკლატურის გაფართოება, ახალი მარალტექნოლოგიური და მაღალკვალიფიკაციატევადი საექსპორტო საქონლის დამზადება, ევროპული სტანდარტების შესაბამისი ხარისხის საქონლის დამზადება და სხვა.

საკვანძო სიტყვები: საექსპორტო პოტენციალი; ევროკავშირთან ვაჭრობა; სავაჭრო ბალანსი; ბალანსის ნორმალიზაციის ინდექსები; ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსები; სავაჭრო რეჟიმები.

შესავალი

მსოფლიოში არ არსებობს სახელმწიფო, რომელსაც სხვა სახელმწიფოსთან არ ჰქონდეს სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა. განსაკუთრებით ეს ეხება საგარეო ვაჭრობას. მეცნიერ ჯეფრი საქსის შეფასებით მსოფლიოს ეკონომიკურ ურთიერთობებში 80% საერთაშორისო ვაჭრობას უკავია (Jeffrey Sachs. 2015). საგარეო ეკონომიკური კავშირების გარეშე მსოფლიოს არცერთ ქვეყანას არ შეუძლია მდგრადი ეკონომიკური განვითარება. ქართველი ეკონომისტი, პროფესორი ვლ. პაპავა, რომელსაც ამ თემაზე ბევრი ნაფიქრ-ნააზრევი აქვს, წერს: „ნებისმიერი ქვეყნისთვის საგარეო ვაჭრობის რეჟიმის ზეგავლენას ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს“ (პაპავა. 2020). ასეთი ურთიერთობა მნიშვნელოვანია თვით მსოფლიოს სუპერსახელმწიფო ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, მით უფრო, მნიშვნელოვანია იგი ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, და, რომელიც განვითარებად ქვეყნად ითვლება. აქედან გამომდინარე, საქართველოსთვის სხვა ქვეყნებთან, განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავება წარმოადგენს მისი ეკონომიკური აღმავლობის ერთ-ერთ უმთავრეს გზას. სწორედ ასეთი ქვეყნების გაერთი-

ანებაა ევროკავშირი, მასში შემავალი ქვეყნების უდიდესი ნაწილი მაღალგანვითარებული ქვეყნებია.

ძირითადი ტექსტი

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობას საფუძველი 1991 წლიდან ჩაეყარა. ამ წელს საქართველოში დაიწყო „ტასისის“ პროგრამის განხორციელება. 1992 წელს ევროკავშირმა სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. ამ წლიდან საქართველოს და ევროკავშირს შორის დაიწყო უფრო მჭიდრო ურთიერთობების დამყარება. 1995 წელს ევროკომისიამ საქართველოში წარმომადგენლობა გახსნა, 1996 წელს ხელი მოეწერა შეთანხმებას პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, 2000 წელს საქართველო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) წევრი გახდა, 2006 წლის 14 ნოემბერს ხელი მოეწერა „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმა“-ს, ხოლო 2014 წელს ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმას ასოცირების შეთანხმების სამოქმედო გეგმა ჩაენაცვლა.

2014 წელს მიღებული საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება (DCFTA) პოლიტიკური თანამშრომლობის ნაწილის გარდა, მოიცავს ყოვლისმომცველ თავისუფალ ვაჭრობას და დარგობრივ თანამშრომლობას (საქართველო-ევროკავშირის..., 2014). საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებში მთავარი ადგილი უკავია **სავაჭრო ურთიერთობებს**.

ეს ურთიერთობები საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის ექსპორტ-იმპორტით ვაჭრობაში გამოიხატება. რადგან ქვეყანა გარედან შემოსავალს ექსპორტით იღებს და არა იმპორტით, ნებისმიერი ქვეყანა ცდილობს ექსპორტის გაფართოებას.

საქართველოს ექსპორტს ევროპაშიც და ევროკავშირშიც მზარდი ტენდენცია აქვს და საქართველოს მთლიან ექსპორტშიც მაღალი ხვედრითი წონა უკავია. 2017-2021 წლებში საქართველოდან ევროპაში ექსპორტი გაზრდილია საშუალოდ 41,3%-ით, მ. შ. ევროკავშირის ქვეყნებში - 12,1%-ით, პირველს ამ

პერიოდში საქართველოს ექსპორტში საშუალოდ 44,8% ეკავა, მეორეს, ანუ ევროკავშირს - 22,9% (ცხრილი 1).

ცხრილი 1. ევროპის და ევროკავშირის ქვეყნების წილი საქართველოს ექსპორტში

წლები	**2017**	**2018**	**2019**	**2020**
სულ ექსპორტი	2745667	3379720	3798394	3344474
მ. შ. ევროპაში: ათასი აშშ დოლარი ხვედრითი წონა (%)	1287800 46,9	1455663 43,1	1717049 45,2	1542177 46,1
აქედან ევროკავშირში: ათასი აშშ დოლარი ხვედრითი წონა (%)	709730 25,8	787556 23,3	882627 23,2	796844 23,8

წლები	**2021**	**2022**	**დინამიკა 2017-2021 წლებში**
სულ ექსპორტი	4242653	...	154,5
მ. შ. ევროპაში: ათასი აშშ დოლარი ხვედრითი წონა (%)	1820189 42,9	... ...	141,3 -
აქედან ევროკავშირში: ათასი აშშ დოლარი ხვედრითი წონა (%)	796137 18,7	... ...	112,1 -

წყარო:
შედგენილია ავტორის მიერ „საქსტატის“ ინფორმაციაზე დაყრდნობით

საქართველოს ექსპორტში ევროპის ხვედრითი წილი ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო და, რაც ყველაზე აღსანიშნავია, 1995 წლიდან დაწყებული იგი ყოველთვის იზრდებოდა (იხ. ცხრილი 2, ნახაზი 1). ცხრილიდან ჩანს, რომ 1995-2015 წლებში იგი 4,7%-დან 23%-მდე გაიზარდა, 2017-2021 წლებში კი იგი საშუალოდ წლიურად 22,9%-ით დაფიქსირდა. ეს შემცირება „კოვიდ-19“ მიზეზით გამოწვეულმა პანდემიამ და საზღვრების ჩაკეტვამ გამოიწვია.

ევროკავშირთან საქართველოს ურთიერთობების ასეთი დინამიკა, ჯერ კიდევ 2007 წელს ასე შეაფასა ქართველმა მეცნიერმა მ. კაკულიამ: „პოზიტიური დინამიკის ფონზე საქართველოს სავაჭრო ურთიერთობებს ევროკავშირთან განსაკუთრებით ექსპორტის ხაზით, დიდი პოტენციალი გააჩნია“ (კაკულია, 2007, გვ. 104). პატივცემულმა მეცნიერმა ამ პოტენციალის მაქსიმალური ათვისება ურჩია საქართველოს იმ შეთანხმებების ფარგლებში, რომელიც დაიდებოდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის. ნახაზი 3 გვიჩვენებს, რომ საქართველოს მაშინდელმა მმართველი პარტიის ეკონომიკურმა გუნდმა მიიღო ეს რჩევა და გამოიყენა კიდეც. ამის შედეგია ის, რომ თუ 2007 წელს, ანუ იმ წელს, როდესაც მეცნიერ მ. კაკულიამ თავის მოსაზრება დააფიქსირა ევროკავშირთან საქართველოს ურთიერთობის საკითხზე, ევროკავშირს საქართველოს ექსპორტში ეკავა მხოლოდ 21,8%, 14 წლის შემდეგ, ანუ 2020 წელს, უკვე უკავია 23,8%. ამასთან, ეს არ არის შესაძლებლობის მაქსიმუმი. საქართველოს ევროკავშირთან ექსპორტის გაფართოების რეზერვი ვფიქრობთ, კიდევ აქვს.

ცხრილი 2. ევროკავშირის ხვედრითი წილი საქართველოს ექსპორტში 1995-2016 წლებში (%-ში)

წლები	ხვ.წ (%)	წლები	ხვ.წ (%)	წლები	ხვ.წ (%)	წლები	ხვ.წ (%)
1995	4,7	2000	24,44	2006	24,1	2017	25,8
1996	17,22	2001	19,60	2007	21,8	2018	23,3
1997	12,55	2002	18,34	2008	22,4	2019	23,2
1998	21,84	2003	17,70	2009	20,9	2020	23,8
1999	23,08	2004	19,8	2010	22,6	2021	18,7
		2005	25,5	2015	23		

წყარო:
საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის ინფორმაცია

ნახაზი 1. საქართველოს ექსორტში ევროკავშირის ქვეყნების ხვედრითი წონის დინამიკა 1995-2021 წლებში



წყარო: შედგენილია ავტორების მიერ

სწორედ ამ რეზერვის მისაგნებად საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტის საერთო მოცულობას წარმოვადგენთ ევროკავშირის ქვეყნების ჭრილში (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3. საქართველოს ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნების მიხედვით

ქვეყნები	2017	2018	2019	2020	2021	დინამიკა
ავსტრია	5 625	8 045	1 860	1 444	1 524	27,0
ბელგია	18 043	21 819	13 517	18 004	22 250	123,3
ბულგარეთი	186 856	259 166	299 702	312 736	253 948	135,4
გერმანია	45 679	51394	54317	62436	67902	148,6
დანია	1 436	1574	626	937	2159	150,3

ესპანეთი	59 342	61 780	46 033	83 752	89 328	150,5
ესტონეთი	6 134	6597	5869	3565	3541	57,7
ირლანდია	542	603	1265	2021	1 833	338,2
იტალია	489	43341	40494	34649	58343	83,9
ლატვია	9 445	10192	10653	9473	10960	116
ლიეტუვა (ლიტვა)	35150	43856	45021	35691	48128	130,3
ლუქსემბურგი	2176	12	27	244	21	-
მალტა	19441	16851	587	344	326	-
ნიდერლანდები	40083	46155	28230	24114	29140	72,6
ნორვეგია	850	422	74	144	438	57,4
პოლონეთი	18779	15240	27682	28447	32325	188,1
პორტუგალია	86	-	353	244	730	348,8
რუმინეთი	75260	57840	178236	20440	33537	44,5
საბერძნეთი	3867	3241	3882	5866	8990	232,4
საფრანგეთი	27215	44750	29150	32951	34354	126,2
სლოვაკეთი	3053	3824	888	1207	472	15,4
სლოვანია	959	3543	2268	4138	580	60,4
უნგრეთი	1045	1061	1178	1406	1313	125,6
ფინეთი	316	157	163	643	1026	324
შვედეთი	248	385	679	672	1175	473,7
შვეიცარია	71560	77453	82552	106773	80529	112,5
ჩეხეთი	8934	9095	10278	9419	9671	100,2
ხორვატია	32	1184	292	505	545	1703

წყარო:
შედგენილია ავტორების მიერ „საქტატის“ ინფორმაციაზე დაყრდნობით

აღნიშნული ინფორმაციიდან ჩანს, რომ საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტში პირველი ათი ადგილი უკავიათ: ბულგარეთს, ესპანეთს, შვეიცარიას, გერმანიას, იტალიას, ლიეტუვას, პოლონეთს, საფრანგეთს, რუმინეთს და ნიდერლანდებს. მათ ყველას ერთად ევროკავშირთან საქართველოს ექსპორტში 91,6% უკავიათ, დანარჩენ ქვეყნებს კი 8,4%. ათეულის ქვეყნე-

ბიდან პირველ ხუთეულს - ბულგარეთს, ესპანეთს, შვეიცარიას, გერმანიას და იტალიას უკავიათ 69%, მეორე ხუთეულში - ლიეტუვას, პოლონეთს, საფრანგეთს, რუმინეთს და ნიდერლანდებს - 23% (იხ. ცხრილი 4, ნახაზი 2).

ცხრილი 4. ევროკავშირში საქართველოს ექსპორტში პირველი 10 ადგილის მფლობელი ქვეყნები

		2021 წელი	
		ათასი აშშ დოლარი	ხვ. წონა %
	სულ ევროკავშირში:	796137	100,0
	მათ შორის:		
1	ბულგარეთი	253948	31,9
2	ესპანეთი	89328	11,2
3	შვეიცარია	80529	10,1
4	გერმანია	67902	8,5
5	იტალია	58343	7,3
6	ლიეტუვა	48128	6,0
7	პოლონეთი	35325	4,4
8	საფრანგეთი	34354	4,3
9	რუმინეთი	33537	4,2
10	ნდიერლანდები	29140	3,7
11	ევროკავშირის დანარჩენი ქვეყნები	65632	8,4

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორების მიერ

ევროკავშირთან საქართველოს ექსპორტ-იმპორტის სასაქონლო სტრუქტურა არაერთგვაროვანია. ევროკავშირის ქვეყნები ჩვენზე ყიდიან და ჩვენგან ყიდულობენ როგორც ერთგვაროვან, ისე ურთიერთგანსხვავებულ პროდუქციას. ამას

ნახაზი 2. ევროკავშირის ქვეყნების დაჯგუფება საქართველოს ექსპორტში წილების მიხედვით



წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორების მიერ

ვაკეთებთ ჩვენც. ეს ორივე ქვეყნისთვის სასარგებლოა. მეცნიერების **ჰეკშერ-ოლინის თეორიების** მიხედვით, ქვეყანა ახორციელებს იმ საქონლის ექსპორტს, რომლის წარმოებაშიც ინტენსიურად გამოიყენება ამ ქვეყნის ჭარბი ფაქტორი (კრუგმანი, ობსტფელდი, მულიტცი, 2017). დღეს ეს თეორია საერთაშორისო ვაჭრობაში ყველაზე გავლენიანი თეორიაა, და როგორც მეცნიერები კრუგმანი, ობსტფელდი და მელიტიცი წერენ: „იგი განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ვაჭრობის სტრუქტურის განსაზღვრისთვის საკმაოდ კარგია“ (კრუგმანი, ობსტფელდი, მულიტცი, 2017).

იმის მიუხედავად, რომ ჰეკშერ-ოლინის თეორემა რამდენიმე სხვადასხვა მეცნიერებმა (ბოუენი, ლიმერი, 1987) - პრაქტიკულად 27 ქვეყნის 12 ფაქტორზე შეამოწმა და წარმატება, ანუ ჰეკშერ-ოლინის თეორემა შემთხვევათა არა 100%-ზე, არამედ, მხოლოდ 61%-ზე დაადასტურა, ჩვენ მაინც ვეყრდნობით მეცნიერების კრუგმანის, ობსტფელდის და მელიტცის მიერ ზემოთ-

გამოთქმულ აზრს, რომ ის საკმაოდ კარგია განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს შორის ვაჭრობისას, და, რადგან, საქართველოს და ევროკავშირს შორის არსებული ვაჭრობა სწორედ ამ ფორმისაა, ამდენად, ამ თეორემის ფონზე ვიხილავთ თუ რა რესურსი გვაქვს ჩვენ ჭარბი, რომლის მეშვეობით დღევანდელ საექსპორტო პროდუქციას ვაწარმოებთ და როგორ წარმოგვიდგენია ევროკავშირთან საქართველოს საექსპორტო ვაჭრობის მომავალი.

ამ საკითხზე მსჯელობის დაწყებამდე ცხრილებში 5, 6 ვაჩვენებთ, საქართველოს უმსხვილეს საექსპორტო და საიმპორტო სასაქონლო პოზიციებს 2020-2021 წლებში. ცხრილ 5-ში ჩანს, რომ საქართველოდან ექსპორტზე ძირითადად გადის: სპილენძის მადნები და კონცენტრატები (19%), ყურძნის ნატურალური ღვინოები (6%), ეთილის სპირტი და სპირტიანი სასმელები (4%), ოქრო (2%), მინერალური წყალი (3%) და სხვა. იმპორტის სახით კი შემოდის: მსუბუქი ავტომობილები (9%), ნავთობი და ნავთობპროდუქცია (8%), სპილენძის მადნები და კონცენტრატები (7%), სამკურნალო საშუალებები (4%), აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები (3%) და სხვა (იხ. ცხრილი 6). როგორც ვხედავთ, ამ ჩამონათვლებში ნაწილი ნედლეულია, ნაწილი - მზა ნაწარმი. თუ ვირწმუნებთ მეცნიერ ფ. ლისტის ნათქვამს იმის შესახებ, რომ „ერი მით უფრო მდიდარი და მძლავრია, რაც უფრო მეტ სამრეწველო ნაწარმს გაიტანს საზღვარგარეთ, და, რაც უფრო მეტ ნედლეულს შემოიტანს“ (ფუტკარაძე, 2010), მაშინ, საქართველოს ამ კრიტერიუმით საშუალო პოზიცია უკავია, რადგან როგორც საექსპორტო, ისე საიმპორტო სასაქონლო პოზიციებში ერთიც არის და მეორეც. თუმცა, უფრო გაბედული დასკვნის გასაკეთებლად დაგვჭირდა იმის დადგენა თუ რომელი რომელს სჭარბობს, და, რომელი როგორი ტენდენციით იცვლება, რადგანაც, ამის მეშვეობით ვიგებთ, რომელი ჭარბი ფაქტორით აწარმოებს საქართველო საექსპორტო საქონელს და იცვლება თუ არა ეს ფაქტორი თანდათან საქართველოსთვის სასიკეთოდ (იხ. ცხრილი 7).

ცხრილი 5. საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო პოზიციები

	2015		2020		2021	
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტობით ჯამთან	ათასი აშშ დოლარი	პროცენტობით ჯამთან	ათასი აშშ დოლარი	პროცენტობით ჯამთან
ექსპორტი - სულ	**2204685**	**100**	**3344474**	**100**	**424653**	**100**
მათ შორის:						
სპილენძის მადნები და კონცენტრ.	270601	12,3	780 854	23	815504	19
ფეროშენად.	176632	8,0	247 329	7	477433	11
მსუბუქი ავტომობილები	196766	8,8	404 117	12	456563	11
ყურძნის ნატურალური ღვინოები	64892	2,9	210312	6	239277	6
ეთილის სპირტი არადენატ., სპირტის კონც. 80 მოც.%-ზე ნაკლები, სპირტიანი სასმელები	82228	3,7	132 314	4	155 725	4
მინერალური და მტკნარი წყლები	82330	3,7	116 581	3	141 08	3
სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი	141531	6,41	72 273	2	119505	3
თხილი და სხვა კაკალი	179646	8,1	94 067	3	118351	3

სამკურნალო საშუალებები დაფასოებული	95795	4,3	99 016	3	99 139	2
ოქრო დაუმუშ. ან ნახ-დამუშ., ან ფხვნილის სახით	-	-	97 572	3	64 220	2
დანარჩენი პროდუქცია	868818	41,8	1090040	33	1555129	37

წყარო: „საქსტატის“ ინფორმაცია

ცხრილი 6. საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო პოზიციები

	2015		2020		2021	
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტობით ჯამთან	ათასი აშშ დოლარი	პროცენტობით ჯამთან	ათასი აშშ დოლარი	პროცენტობით ჯამთან
ექსპორტი - სულ	**2204685**	**100**	**3344474**	**100**	**424653**	**100**
მათ შორის:						
სპილენძის მადნები და კონცენტრ.	270601	12,3	780 854	23	815504	19
ფეროშენად.	176632	8,0	247 329	7	477433	11
მსუბუქი ავტომობილები	196766	8,8	404 117	12	456563	11
ყურძნის ნატურალური ღვინოები	64892	2,9	210312	6	239277	6

ეთილის სპირტი არადენატ., სპირტის კონც. 80 მოც.%-ზე ნაკლები, სპირტიანი სასმელები	82228	3,7	132 314	4	155 725	4
მინერალური და მტკნარი წყლები	82330	3,7	116 581	3	141 08	3
სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი	141531	6,41	72 273	2	119505	3
თხილი და სხვა კაკალი	179646	8,1	94 067	3	118351	3
სამკურნალო საშუალებები დაფასოებული	95795	4,3	99 016	3	99 139	2
ოქრო დაუმუშ. ან ნახ-დამუშ., ან ფხვნილის სახით	-	-	97 572	3	64 220	2
დანარჩენი პროდუქცია	868818	41,8	1090040	33	1555129	37

წყარო: „საქსტატის“ ინფორმაცია

ცხრილი 7. საქართველოს იმპორტ-ექსპორტში ნედლეულის და მზაპროდუქციის ხვედრითი წონები (%%)

		ექსპორტში ხვედრითი წონა (%)	იმპორტში ხვედრითი წონა (%)
1	ნედლეული:		
	2015	20,3	14,9
	2020	24,3	17
	2021	32	18
	ცვლილება 2015-2021 წლებში	+11,4	+3,1

2	**მზა პროდუქცია:**		
	2015	79,7	85,1
	2020	75,7	83
	2021	68	82
	ცვლილება 2015-2021 წლებში	-11,4	-3,1

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ „საქსტატის“ ინფორმაციაზე დაყრდნობით

ცხრილი 7, რომელიც შევადგინეთ წინა ორი ცხრილიდან ნედლეულის და მზა პროდუქციის ამოკრებით გვიჩვენებს, რომ საქართველოდან ექსპორტში 11,4 პროცენტული პუნქტით გაზრდილია ნედლეულის გატანა და ამდენივე პუნქტით შემცირებულია მზა პროდუქციის გატანა, თუმცა, მოცულობითი თვალსაზრისით, საქართველოდან მზა პროდუქციის ექსპორტი 2-3-ჯერ აღემატება ნედლეულის ექსპორტს, მაგრამ, დასანანია რომ, მისი ხვედრითი წილი საერთო ექსპორტში 2015-2021 წლებში 11,4 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული. არასახარბიელო მდგომაროებაა იმპორტშიც. 2015-2021 წლებში საქართველოს იმპორტში მხოლოდ 15-18% უკავია ნედლეულის შემოტანას, დანარჩენი 82-85% უკავია მზა პრიდუქციას. მაშასადამე, თუ ჩვენს ექსპორტ-იმპორტის დღევანდელ მდგომარეობას ფ. ლისტის გამოთქმულ სასურველ მდგომარეობას შევადარებთ, იგი მისი ანტიპოდია. თუმცა, იმპორტში შეინიშნება ცვლილების ერთი ნათელი წერტილი - ნედლეულის ხვედრითი წონის 3,1 პროცენტით ზრდა და ამავე სიდიდით მზა პროდუქციის იმპორტის შემცირება. ეს იმაზე მიგვითითებს, რომ საქართველოში დაიწყო იმპორტჩამნაცვლებელი პროდუქციის აქტიური წარმოება და, თუ ეს პროცესი უფრო ინტენსიური და დროში დაჩქარებულად გაგრძელდა, მაშინ, ფ. ლისტის მიერ სახელდებული სასურველი მდგომარეობა საქართველოშიც დადგება.

დღეს მსოფლიოს მაღალგანვითარებული ქვეყნები სწორედ

ამ წესით ცხოვრობენ. შემოაქვთ ნედლეული, რომელთა გამოყენებით აწარმოებენ მზა პროდუქციას და ეს პროდუქცია გააქვთ საზღვარგარეთ გასაყიდად, ხშირად, იმავე ქვეყანაში, საიდანაც ეს ნედლეული შემოიტანეს. მეტწილად ისინი, იმავე ქვეყანაში აფუძნებენ საწარმოსაც, სადაც ამ ნედლეულიდან ამზადებენ მზა პროდუქციას და შემდეგ ყიდიან. სტატისტიკა გვამცნობს, რომ ნედლეულით მდიდარი უფრო მსოფლიოს განვითარებადი ქვეყნები არიან, სადაც შრომის ფასიც დაბალია და მაღალგანვითარებულ ქვეყნებს უღირთ იქ წარმოებების გახსნა. ამით ისინი მეტ მოგებას იღებენ.

მივუბრუნდეთ ჰეკშერ-ოლინის თეორემას და გავარკვიოთ საქართველო შეფარდებითად რომელ ჭარბ ფაქტორებს (რესურსებს) ფლობს, რომელთა გამოყენებით ახორციელებს ძირითად ექსპორტს და როგორია ამ მიამრთულებით საქართველოს პერსპექტივები. ეკონომიკური თეორიიდან ცნობილია წარმოების რამოდენიმე ფაქტორი - მიწა (ბუნებრივი რესურსები), შრომა, კაპიტალი, სამეწარმეო უნარი (ცოდნა). რესურსი, რომლის მიწოდებაც ქვეყანაში შედარებით მეტია, ჭარბი ფაქტორია. საქართველოში ეს არის შრომა, ხოლო რესურსი, რომლის მიწოდებაც ქვეყანაში შედარებით მცირეა, ის არის დეფიციტური რესურსი. საქართველოში ეს არის კაპიტალი. ჭარბი ფაქტორების მფლობელი მოგებას იღებენ ვაჭრობიდან, ხოლო ქვეყნის დეფიციტური ფაქტორების მფლობელები ზარალდებიან (კრუგმანი, ობსტფელდი, მელიტცი, 2017). ჭარბი წარმოების ფაქტორების თეორემიდან გამომდინარე, ჩვენ უნდა ვაწარმოვოთ ის საექსპორტო საქონელი, რომელსაც მეტი კვალიფიციური შრომა სჭირდება. ამ თვალსაზრისით, საქართველოს ბიზნესის სექტორი უნდა დაიყოს შრომაკვალიფიკაციატევადობის მიხედვით, და, იმ სექტორის პროდუქცია დამზადდეს საექსპორტოდ და ზოგადად ქვეყანა კონცენტრირდეს საექსპორტოდ იმ პროდუქციის წარმოებაზე, რომელიც მაღალკვალიფიკაციას მოითხოვს და არა დაბალ კვალიფიკაციას. მართალია, ეს საკითხი დამოუკიდებელ კვლევას მოითხოვს, მაგრამ სავარაუდო პოზიციები მაინც შეიძლება გამოითქვას. დღეს-დღეობით,

საქართველოს საექსპორტო წარმოება ეფუძნება მხოლოდ დაბალკვალიფიციური შრომის სიჭარბეს. ანუ იმას, რაც ტრადიციულად წინა წლებშიც არსებობდა. საქართველოს ექსპორტში ტრადიციულად არსებულ საექსპორტო პროდუქციასთან შედარებით, 2020-2021 წლების სტრუქტურა თითქმის უცვლელია. ამას სხვა ქართველი მეცნიერებიც აღნიშნავენ (ეთრია, 2022). საექსპორტო პროდუქციაში არ ჩანს ის პროდუქცია, რომელსაც მაღალკვალიფიციური და მაღალინტენსიური შრომა სჭირდება და რომლის შექმნის და წარმოების პოტენციალი საქართველოს მეცნიერებას აქვს. ესენია: ნანოტექნოლოგიური ფაგები, სამედიცინო ღეროვანი უჯრედები, იზოტოპების, ფოტონიკის, გალაგრაფიის და ოპტოინ ფორმატიკის ნაწარმი, ახალი თაობის სამკურნალო პრეპარატები და სხვა (ძიძიკაშვილი, გიორგაძე, 2018). საწყის წლებში ასე ყოფილა ჩინეთშიც. ჩინეთიდან აშშ-ში განხორციელებულ ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაში 1983-1987 წლებში მაღალკვალიფიკაცია შრომატევად სექტორებში დამზადებულ პროდუქციას საშუალოდ მხოლოდ 2,5-3% ეკავა, 2008-2010 წლებში კი დაიკავა თითქმის 8% (NBER-CES US, 2008).

ჩვენს მიერ ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ განხილულ წლებში ევროკავშირთან საქართველოს სავაჭრო ბრუნვა მუდმივად იზრდებოდა, მაგრამ, როგორადაც არ უნდა იზრდებოდეს ევროკავშირთან საქართველოს სავაჭრო ბრუნვა, მასში მუდმივად „მძიმე“ გამოწვევად დგას იმპორტის ბრუნვის მეტობა ექსპორტზე და ამ მიზეზით სავაჭრო ბალანსის დაუბალანსებლობა (იხ. ცხრილი 8). ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობის მომავალი რომ შევაფასოთ, საჭიროა გავარკვიოთ აქვს თუ არა საქართველოს მასთან ექსპორტის ზრდის პოტენციალი, და, ამ გზით უარყოფითი სავაჭრო ბალანსის დაბალანსების რეზერვი. ამისათვის საჭიროა ევროკავშირთან მიმართებით ვიანგარიშოთ ორი მაჩვენებელი:

1. სავაჭრო ბალანსის ნორმალიზაციის ინდექსი.
2. ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსი.

ცხრილი 8. ევროკავშირთან საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსი (ათასი აშშ დოლარი)

	2017	2018	2019	2020	2021	დინამიკა 2017-2021 წ.წ.
ექსპორტი	709730	787556	882627	796844	796137	112,1
იმპორტი	2109159	2407943	2346270	1859076	2335733	110,7
სალდო (1-2)	-1399429	-1620387	-1463643	-1062232	-1539596	110,0

წყარო: შედგენილია ავტორების მიერ

სავაჭრო ბალანსის ნორმალიზაციის ინდექსი ინაგარიშება ფორმულით (საქართველოს საგარეო სავაჭრო..., 2017):

$$N = \frac{(x - M)}{(x + M)}$$

(ფორმულაში: x- არის საერთო ექსპორტი, M - საერთო იმპორტი.

თუ ნორმალიზაციის ინდექსი იცვლება - 1-დან 0-მდე, ეს ნიშნავს მაღალ იმპორტს, ხოლო თუ იცვლება 0-დან +1-მდე - ექსპორტის მეტობას იმპორტზე).

ევრეოკავშირთან საქართველოს სავაჭრო ბალანსის ნორმალიზაციის ინდექსი საანალიზოდ აღებულ პერიოდში (2017-2021 წ.წ.) შეადგენდა:

2017 წელს (709730 - 2109159) : (709730 + 2109159) = -0,49

2018 წელს (787556 - 2407943) : (787556 + 2407943) = -0,51

2019 წელს (882627 - 2346270) : (882627 + 2346270) = -045

2020 წელს (796844 - 1859076) : (796844 + 1859076) = -0,40

2021 წელს (796137 - 2335733) : (796137 + 2335733) = -0,49

ამ გაანგარიშებიდან ჩანს, რომ 2017-2021 წლებში ევროკავშირთან საქართველოს საგარეო ვაჭრობა დაუბალანსებელია, ანუ იმპორტი აღემატება ექსპორტს. ასევე იყო წინა წლებში:

2010 წელს - 0,65, 2012 წელს - 0,75, 2013 წელს - 0,58, 2014 წელს - 0,58, 2015 წელს - 0,59 (ღაღანიძე, 2017). აქედან კეთდება დასკვნა, რომ მართალია, 2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის დაიდო ასოცირების შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, მაგრამ მას დღემდე ევროკავშირთან საგარეო ვაჭრობის ბალანსის ნორმალიზაცია არ მოუხდენია.

საგარეო ვაჭრობის ბალანსის გაუმჯობესების ძირითადი საშუალებაა ექსპორტის ზრდა. ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ ვიანგარიშოთ ევროკავშირთან მიმართებაში მისი პოტენციალი საქართველოში ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსის საშუალებით. იგი იანგარიშება ფორმულით (საქართველოს საგარეო-სავაჭრო..., 2017):

$$lij = \frac{\frac{xij}{xi}}{\frac{Mj}{M}}$$

ფორმულაში: lij- არის ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსი, xij - არის i - ქვეყნის მთლიანი ექსპორტი jქვეყანაში, xi - არის i ქვეყნის მთლიანი ექსპორტი, Mj - არის j ქვეყნის მთლიანი იმპორტი, M- არის მსოფლიო იმპორტი. თუ ფაქტიურად მიღებული lij მაჩვენებელი 1-ზე ნაკლებია, მაშინ საქართველოს საექსპორტო პოტენციალი არ არის ათვისებული, თუ იგი 1-ზე მეტია, მაშინ, საქართველოს სავაჭრო პარტნიორი, ანუ ევროკავშირი, უფრო მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, ვიდრე იგი მისთვის (ანუ საქართველო ევროკავშირისათვის). გამოუყენებული საექსპორტო პოტენციალი იანგარიშება ფაქტიურად მიღებულ lij - მაჩვენებლის სიდიდესა და 1-ს შორის სხვაობით.

ჩვენს მაგალითზე ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსის მნიშვნელობები მოცემული გვაქვს ცხრილში 9.

ცხრილი 9. საქართველო-ევროკავშირის საგარეო ვაჭრობის ინტენსიფიკაციის ინდექსი (ათასი აშშ დოლარი)

	2017	2018	2019	2020	2021
საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში (xij)	709730	7877556	882627	796844	796137
საქართველოდან საერთო ექსპორტი xi	2745667	3379720	3798384	3344474	4242653
ევროკავშირიდან საქართველოში იმპორტი (Mij)	2002446763	2256297763	2173784981	1957880087	2508637540
მსოფლიოდან საქართველოში იმპორტი (M)	1634882769	19201824868	18674359760	17300183835	21458876098
(xij/xi)	0.25	0.23	0.232	0.238	0.187
(Mj/M)	0.122	0.117	0.116	0.113	0.117
lij ტოლია (=)	2.1	1.9	2.0	2.1	1.6

წყარო: შედგენილია ავტორების მიერ

ცხრილი 9-დან ჩანს, რომ ევროკავშირთან საქართველოს ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსი (Lij) 2017-2017 წლებში ყოველთვის აღემატებოდა ერთ მთელს (>1). ეს იმას ნიშნავს, რომ თუ წინა წლებში საქართველოს საექსპორტო პოტენციალს ევროკავშირი ვერ ითვისებდა (2011 წ. – 0,58, 2012 წ. – 0,48, 2013 წ. – 0,67, 2014 წ. – 0,69) (ღაღანიძე, 2017), მიმდინარე წლებში ეს მდგომარეობა გამოსწორებულია. მეტიც, საქართველო-ევროკავშირს შორის ინტრარეგიონული საექსპორტო ინდექსი (IRT) უფრო მაღალია, ვიდრე მსოფლიოსა და ევროკავშირს შორის ინტრარეგიონული საექსპორტო ინდექსი (იხ. ცხრილი 10). კერძოდ, როგორც ცხრილი 10 გვიჩვენებს, ევროკავშირთან საქართველოს ინტრარეგიონული საექსპორტო ინდექსი 2017-2021 წლებში ორჯერ მაღალია (გამონაკლისია მხოლოდ 2021 წელი), მსოფლიოსა და ევროკავშირს შორის ანალოგიურ

ცხრილი 10. ინტრარეგიონალური საექსპორტო ინტენსივობა საქართველო-ევროკავშირსა და ევროკავშირსა და მსოფლიოს შორის (ათასი აშშ დოლარი)

	2017	2018	2019	2020	2021
საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში	709730	7877556	882627	796844	796137
საქართველოს საერთო ექსპორტი	2745667	3379720	3798384	3344474	4242653
საქართველოს ინტრარეგ. საექსპორტო ინდექსი	0,25=25%	0,23=23%	0,232=23,2%	0,238=23,8%	0,187=18,7%
ევროკავშირის საერთო იმპორტი	2002446763	2256297763	2173784981	1955788002	2508637540
მსოფლიოს საერთო ექსპორტი	19400870642	21263896794	20610177947	19237810179	21450091310
მსოფლიოს ინტრარეგ. საექსპორტო ინდექსი (4:5)	0,103=10,3%	0,106=10,6%	0,105=10,5%	0,102=10,2%	0,117=11,7%

ინდექსთან შედარებით (2017 წ. – 25% > 10,3%; 2018 წ. 23% > 10,6%; 2019 წ. – 23,2% > 10,5%; 2020 წ. – 23,8% > 10,2%; 2021 წ. – 18,7% > 11,7%). ცხადია, ეს მაჩვენებლები მიუთითებენ იმაზე, რომ წილობრივი მაჩვენებლების მიხედვით, საქართველოს საექსპორტო შესაძლებლობები მეტად არის რეალიზებული ევროკავშირში, ვიდრე ერთად აღებული მთელი მსოფლიოს მიერ იგივე ევროკავშირში.

მაგრამ აქცე, რაღა თქმა უნდა, ისმება ასეთი კითხვა: არის თუ არა საკმარისი საქართველოსთვის მისი საექსპორტო პოტენციალის ის მოცულობა, რომელიც ევროკავშირშია რეალიზებული და რამდენად იძლევა მისი გაზრდა-გაფართოების შესაძლებლობას საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება?

ძველად, მერკანტელისტური იდეების ბატონობის დროს, ტე-

რმინი „სავაჭრო პოლიტიკა“ მხოლოდ საქონლის ექსპორტ-იმპორტის ნაკადების რეგულირებას გულისხმობდა. შემდეგ მან მოიცვა ვაჭრობის მომიჯნავე დარგებიც - ფინანსები, წარმოება და მოხმარება. სამუშაო ძალის გადანაწილება ქვეყნებს შორის და ა. შ. თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებას მისი ერთმნიშვნელოვანი განმარტება არა აქვს. ეს განპირობებულია იმით, რომ ეს ტერმინი, ეს ცნება ერთდროულად ორი მეცნიერების - ეკონომიკის და პოლიტიკის ზედაპირზე დევს და ხშირად ორივეს ინტერესებს გამოხატავს (Яценко, 2017, გვ. 57).

მას შემდეგ, რაც საქართველომ უარი თქვა საბჭოურ წარსულზე და ისტორიული არჩევანი ევროკავშირში ინტეგრირებაზე გააკეთა, ცხადია, ევროკავშირთან მიმართებაში გაფართოვდა მისი პოლიტიკური ინტერესიც და ეკონომიკური ინტერესებიც. ამის შედეგი იყო მისი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებაც და ამ გზაზე გადადგმული სხვა ნაბიჯებიც. კერძოდ, 2014 წელს გაფორმებული შეთანხმებაც თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. ეს მოძრაობა ევროპისკენ შეუქცევადი პროცესია. იგი რომ დღენიადაგ ღრმავდება ამის დასადასტურებლად ის ფაქტიც კმარა, რომ 1995-2021 წლებში ევროკავშირში საქართველოს ექსპორტი 109,9-ჯერ არის გაზრდილი (იხ. ცხრილი 11). მაგრამ თუ ევროკავშირთან საქართველოს ექსპორტის მოცულობას შევადარებთ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან (დსთ) საქართველოს ექსპორტის მოცულობას (იხ. ცხრილი 11), დავინახავთ, რომ იმავე პერიოდში მართალია დსთ-ან ექსპორტით ვაჭრობის ზრდის ტემპი შედარებით მცირეა (20,6-ჯერ ზრდა), მაგრამ, ექსპორტის აბსოლუტური მოცულობაა თითქმის 2-2,5-ჯერ არის მეტი. ეს არ მომხდარა მხოლოდ რომელიმე ერთ ან ორ წელს. ასეთი ვითარებაა 1995 წლიდან 2021 წლის ჩათვლით (გამონაკლისი იყო 2015-2016 წლები). აქედან ის ლოგიკური დასკვნა კეთდება, რომ ოფიციალურად ჩვენ კი ავირჩიეთ როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური კუთხით განვითარების ევროპული გზა, მაგრამ საქართველოს საერთო ექსპორტში უდიდესი ხვედრითი წონა არა ევროკავშირს, არამედ, დსთ-ს ქვეყნებს უკავიათ (2021

წელს - 47,6%). ეს საქონლის ის მასაა, რომელიც აკმაყოფილებს დსთ-ს ქვეყნების მაქსიმალურად ლიბერალიზებულ სავაჭრო რეჟიმებს, მაგრამ, ვერ აკმაყოფილებს ევროკავშირის რეჟიმს. ჩვენი აზრით, ევროკავშირისთვის ამ პროცესში მთავარია საექსპორტო საქონლის ხარისხის ამაღლება და თვით საექსპორტო საქონლის ნომენკლატურის გაზრდა.

ცხრილი 11. საქართველოდან საქონლის ექსპორტის მოცულობა და დინამიკა ევროკავშირში და დსთ-ს ქვეყნებში

წლები	საქონლის ექსპორტი საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში		საქონლის ექსპორტი საქართველოდან დსთ-ს ქვეყნებში	
	მოცულობა	ხვ. წონა	მოცულობა	ხვ. წონა
1995 წელი	7238,1	4,7	97988,3	63,1
2021 წელი	796137	18,7	2020770,0	47,6
დინამიკა	10999% ანუ 109,9-ჯერ ზრდა	-	2062,2% ანუ 20,6-ჯერ ზრდა	-

წყარო: WITS by World Bank

უნდა ვეცადოთ, რომ ევროკავშირში ექსპორტზე გავიტანოთ არა ნედლეული და დაბალტექნოლოგიური სამრეწველო პროდუქცია, „რომელიც თავისი მახასიათებლებით უახლოვდება ნედლეულის სასაქონლო ჯგუფს“ (ღაღანიძე, 2017), არამედ, ტექნოლოგიატევადი პროდუქცია, რომლის ყოველ ერთეულზე მეტი მოცულობის მეცნიერის და ინჟინერის ჩართულობა იქნება გამოყენებული. საქართველოს არ აკლია არც მეცნიერები და არც ინჟინრები. ასეთი პროდუქცია კი, მაღალი ფასის გამო, ქვეყანას მეტ შემოსავალს მისცემს.

დღეს თუ არა ხვალ, თუ საქართველომ შეძლო ექსპორტ-ვაჭრობისთვის ევროკავშირიდან წარდგენილი მოთხოვნების დაკ-

მაყოფილება, შემდეგ საჭირო იქნება საქართველოს ექსპორტის პოტენციალის სამომავლო გაფართოებაზე თავისუფალი ვაჭრობის გავლენის პროგნოზირება. ეს სამუშაო ხორციელდება სავაჭრო პარტნიორების ექსპორტის ერთგვაროვნების და შიდადარგობრივი ვაჭრობის დონის განსაზღვრით. პირველს ანგარიშობენ კინკერ-ფრეინინის ინდექსით, მეორეს გლუბელ-ლოიდის ინდექსით.

ეს საკითხი ცალკე გამოკვლევას საჭიროებს და ამდენად, ამ ნაშრომში მასზე მსჯელობისგან თავს შევიკავებთ. მით უფრო, რომ დღეს ამის საჭიროებას ვერ ვხედავთ.

დასკვნა

ევროკავშირში საქართველოს ექსპორტის მოცულობის, სტრუქტურის და დინამიკის ანალიზით შეიძლება შემდეგი დასკვნების გაკეთება:

1. ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოდან საქონლის ექსპორტი მუდმივად იზრდება. 1995-2021 წლებში იგი გაზრდილია 109,9-ჯერ, ხოლო 2017-2021 წლებში 12,1%-ით.

2. საქართველოდან ევროკავშირში საქონლის ექსპორტს საქართველოს მთელ ექსპორტში 2017-2021 წლებში საშუალოდ ეკავა 22,9%.

3. 2021 წელს საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტის წილად მოდიოდა 18,7%, დამოუკიდებელ თანამეგობრობის ქვეყნებთან ექსპორტის წილი კი - 47,6%-ს შეადგენდა. ამის გამომწვევი მიზეზი დსთ-ის ქვეყნების სავაჭრო რეჟიმების მაქსიმალური ლიბერალიზაცია წარმოადგენს.

4. საქართველოს ექსპორტში 2021 წელს 68% ეკავა მზა პროდუქციას, 32% - ნედლეულს. ბოლო წლების ექსპორტის სტრუქტურაში შეიმჩნევა მზა პროდუქციის ექსპორტის შემცირება, რაც არასასურველია.

5. ევროკავშირთან საქართველოს სავაჭრო ბალანსი პასიურია - იმპორტი აღემატება ექსპორტს. ამასთან უარყოფითი სალდო ყოველ წელს იზრდება. 2017-2021 წლებში იგი 10%-ით არის გაზრდილი. ევროკავშირთან საქართველოს სავაჭრო ბა-

ლანსის ნორმალიზაციის ინდექსი 2017-2021 წლებში მუდმივად უარყოფითია.

6. ევროკავშირთან ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსი 2017-2021 წლებში მუდმივად აღემატებოდა ერთ ერთეულს - 2017 წელს - 2,1, 2018 წელს - 1,9, 2019 წელს - 2,0, 2020 წელს - 2,1, 2021 წელს - 1,6.

7. ორჯერ მაღალი იყო ევროკავშირთან საქართველოს ინტრარეგიონალური საექსპორტო ინტენსივობაც მსოფლიოსა და ევროკავშირის ინტრარეგიონალურ ინტენსივობასთან შედარებით. ეს ნიშნავს, რომ წილობრივი თვალსაზრისით საქართველოს საექსპორტო შესაძლებლობები ევროკავშირში უფრო მეტად არის რეალიზებული, ვიდრე მთელ მსოფლიოში, იგივე ევროკავშირთან მიმართებაში.

მაგრამ მიღწეული არ არის საკმარისი. საჭიროა საქართველომ დაიწყოს ევროპული სტანდარტებით მოთხოვნილი ხარისხის პროდუქციის დამზადება, რომლის ნომენკლატურაც იქნება მეტად ფართო და ამასთან, მაღალტექნოლოგიურ და მაღალკვალიფიკაციატევადი. ეს უდავოდ გააფართოვებს საქართველოს საექსპორტო პოტენციალს ევროპული ბაზრისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Jeffrey Sachs, 2015. The End of Poverty: Economic Possibilities for Our Time Edition “Penguin Books”. New-York.

2. პაპავა ვლ. არატრადიციული ეკონომიქსი. თბ., 2020. გვ. 196.

3. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების გზამკვლევი. თებერვალი. 2014 წ.

4. კაკულია მ. ორმხრივი ვაჭრობის განმტკიცება. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო დამოუკიდებელ ექსპერტთა ანალიზი (ფრიდრიხ ებერტის ფონდი). თბ., 2007. გვ. 104.

5. კრუგმანი პ., ობსტფელდი მ., მელიტცი მ. საერთაშორისო ეკონომიკა, თეორია და პრაქტიკა. თბ., 2017. გვ. 95.

6. ფუტკარაძე რ. საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები: პრობლემები და პერსპექტივები. თბ., 2010. გვ. 90.

7. ეთერია ე. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ეკონომიკური განზომილება: თეორია და პრაქტიკული შედეგები. ჟ. „ეკონომისტი“. N1. 2022. გვ. 80.

8. ძიძიკაშვილი ნ., გიორხელიძე დ. საქართველოს ინოვაციური განვითარების კონცეფცია გრძელვადიან პერიოდში. თბ., 2018. გვ. 15.

9. IBER-CES US. Manufacturing Productivity Dotabase. U. S. Census Bureau, and Peter K. Schott, “The Relative Sopgistication of Chinese Exports”, Economic Policy (2008). გვ. 5-49.

10. საქართველოს საგარეო-სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები. თბ., 2017. გვ. 1-47.

11. ღაღანიძე გ. ქართული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალი და კონკურენტული უპირატესობები ევროკავშირის ბაზარზე. ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“. N3. 2017. გვ. 120.

12. WITS by World Bank.

13. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაცია.

14. Яценко О. Торговая политика как инструмент экономического развития. ჟ. „ეკონომისტი“. 2017, N8.

REFERENCES:

1. Jeffrey Sachs, 2015. The End of Poverty: Economic Possibilities for Our Time Edition “Penguin Books”. New York.

2. Papava V. Unconventional economix. Tb., 2020. p. 196.

3. Guide to the Georgia-EU Association Agreement. February. 2014

4. Kakulia M. Strengthening of bilateral trade. EU Neighborhood Policy and Georgia Independent Expert Analysis (Friedrich Ebert Foundation). Tb., 2007. p. 104.

5. Krugman P., Obstfeld M., Melitz M. International economics, theory and practice. Tb, 2017. p. 95.

6. Putkaradze R. Georgia-EU trade and economic relations: problems and perspectives. Tb., 2010. p. 90.

7. Eteria E. Economic dimension of Georgia-EU association agreement: theory and practical implications. J. “Economist”. N1. 2022. p. 80.

8. Dzidzikashvili N., Giorkhelidze D. The concept of innovative development of Georgia in the long term. Tb., 2018. p. 15.

9. IBER-CES US. Manufacturing Productivity Database. U. S. Census Bureau, and Peter K. Schott, "The Relative Sophistication of Chinese Exports", Economic Policy (2008). P. 5-49.

10. Main directions of improvement of foreign trade balance in Georgia. Tb, 2017. p. 1-47.

11. Ghaganidze G. Export potential and competitive advantages of Georgian products in the EU market. J. "Economy and Business". N3. 2017. p. 120.

12. WITS by World Bank.

13. Information of the National Statistical Service of Georgia.

14. Yatsenko O. Trade policy as a tool for economic development, J. "Economist". 2017, N8.

ON THE POTENTIAL OF EXPANDING GEORGIA'S EXPORTS TO THE EUROPEAN UNION

ZAIRA GUDUSHAURI,
Professor of Georgian Technical University;
zaira.gudushauri@mail.ru

NINO GELIASHVILI,
Doctoral Student of Georgian Technical University

Resume

In the article the issue is raised and discussed both from the point of view of the EU countries and most of the export-import commodity groups. The share of export to the European Union in the total export of Georgia is analyzed and evaluated, and it is compared with the export of Georgia from the Commonwealth of Independent States (CIS) in terms of export volume, specific weight, and growth rate.

The article presents the trade balance of Georgia with the European Union, based on which balance normalization indices are calculated, which are evaluated negatively. The article also calculates the indices of the intensity of trade with the EU (Lij), which were found to be more than one unit of the share taken for analysis. This situation is evaluated positively in the article, and it is also mentioned that Georgia's export intensity with the European Union, i.e. its intra-regional export index, is twice as high as the similar world index in relation to the European Union.

The turnover of export trade from Georgia to the European Union is considered insufficient in the article, and the recommendations for its expansion are presented. Among them are: expansion of the nomenclature of export goods, production of new high-tech and highly qualified export goods, production of quality goods corresponding to the European standards and others.

Key words: export potential; Trade with the European Union; trade balance; balance normalization indices; trade intensity indices; trading modes.